სასამართლომ IDFI-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა

საქმე №3/8420-11

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 24 აგვისტოს სარჩელით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომლიდანაც საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის №10, №30, №33, №55, №88, №121, №130, №117, №202, №145, №157, №175, №199,№171, №222, №271 და №150 ბრძანებულებების ასლები მოითხოვა. საჯარო დაწესებულებამ არ გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და ნაცვლად სრულყოფილი პასუხისა, ინსტიტუტს მიაწოდა საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი, რომელშიც ეწერა, თუ რა საკითხებს ეხებოდა მოთხოვნილი ბრძანებულებები.

ინსტიტუტმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, რის შემდეგაც მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით. მოპასუხე მხარემ არ სცნო სარჩელი და ბრძანებულების ასლების არგაცემის მიზეზად პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაციის არსებობა მიუთითა.

საქმეს განიხილავდა მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი. წინამდებარე გადაწყვეტილების გამოტანამდე, ამ მოსამართლემ IDFI-ის ორი სარჩელი არ დააკმაყოფილა,[1] რომელიც თავის მხრივ საჯარო დაწესებულებისგან საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით ქმედების განხორციელებასა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ეხებოდა.[2]

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონიერია.[3] სასამართლოს ამგვარი შეფასება აბსოლუტურად მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას შემდეგი მიზეზების გამო:

ა) მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე საჯარო ხასიათისაა;

ბ) მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საიდუმლოების შემცველ მონაცემებს;

---

[1] იხ. http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/57

[2] იხ. http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/56

[3] იხ. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.

გ) IDFI-ის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საქართველოს პრეზიდენტის იმ ბრძანებულებებს გასცემს, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

დ) ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკაში არაერთი შემთხვევაა, როდესაც საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე საჯარო ინფორმაციას დაშტრიხული სახით გასცემს;

ე) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის არგაცემა პირდაპირ კავშირშია IDFI-ის კანონიერი უფლების შელახვასთან.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე საჯარო ხასიათისაა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას სამართლებრივი ძალა აქვს. მისი გაცნობა უნდა შეეძლოს ნებისმიერ მსურველს და იგი არ უნდა წარმოადგენდეს საიდუმლო დოკუმენტს. სასამართლო მსჯელობს აბსოლუტურად დაუსაბუთებლად, როდესაც განმარტავს, რომ ბრძანებულება პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას შეიცავს. სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1240(კ-08) განჩინებით, რომლითაც შეწყალების საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებს პირადი საიდუმლოების კატეგორია მიენიჭა.

2. მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საიდუმლოების შემცველ მონაცემებს

მოთხოვნილი ინფორმაცია იმ მიზეზით არ შეიძლება იყოს საიდუმლოების შემცველი, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სამართლებრივი აქტია.

3. IDFI-ის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საქართველოს პრეზიდენტის იმ ბრძანებულებებს გასცემს, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა

IDFI-იმ სასამართლო განხილვისას წარადგინა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული საჯარო ინფორმაცია, რომლითაც მას საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებები მიეწოდა სხვადასხვა საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძანებულებებში მითითებულია კონკრეტული პირები, სახელითა და გვარის და ასევე პირადი ნომრის სახით. საჯარო დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას.

4. ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკაში არაერთი შემთხვევაა, როდესაც საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე საჯარო ინფორმაციას დაშტრიხული სახით გასცემს

თუ საჯარო დაწესებულება ჩათვლიდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია საიდუმლოების შემცველია, მას იგი IDFI-ისთვის მაინც უნდა მიეწოდებინა, მაგრამ უკვე დაშტრიხული სახით. ამის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო გასცემს შესაბამის დოკუმენტს, მაგრამ ამ დოკუმენტში მითითებული პირების სახელსა და გვარს არ ასაჯაროებს.[4]

5. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის არგაცემა პირდაპირ კავშირშია IDFI-ის კანონიერი უფლების შელახვასთან

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის არგაცემით დაირღვა IDFI-ის კანონიერი უფლება. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ინსტიტუტ ჰქონდა უფლება, მიეღო მოთხოვნილი ინფორმაცია სასურველი ფორმით.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მხოლოდ ერთ გვერდს უთმობს სამართლებრივ საკითხზე მსჯელობას და ამ საკითხზე მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. მისი მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეობის მიღების, აღდგენის, შეწყვეტის, გასვლისა და მინიჭების შესახებ ინფორმაცია, კერძო საკითხებს წარმოადგენს და იგი საქართველოს კანონმდებლობითაა დაცული, როგორც პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემები.[5]

---

[4] იხ. მაგალითად: http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/68

[5] იხ. გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი მთლიანად.